ნათია ზედგინიძე

პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი

საქართველო: პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების მცდელობანი წინასაარჩევნო პერიოდებში (2012 და 2016 წლებში)

აბსტრაქტი

საქართველოში დღემდე სამართლიანი, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრობლემა დგას. პოლიტიკურ პარტიებს შორის ბრძოლა არსებითად ხელისუფლების მოხელეთებისთვის ბრძოლაა, რაც ეთიკისა და სამართლიანობის ფარგლებიდან გადის და ხელს უშლის პოლიტიკური პროცესის სტაბილურობის დამკვიდრებას. ამგვარი ვითარების მიუღებლობა პოლიტიკოსებსაც ესმით და წინასაარჩევნო პერიოდებში პოლიტიკური პარტიების მხრიდან რეგულარულად ხდება „პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის“ შემუშავების საკითხის დაყენება.

სტატიის მიზანია, გამოიკვლიოს საქართველოში პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების მცდელობანი 2012-2016 წლებში. კვლევის მეთოდად გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი. სტატიაში განხილული საკითხი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არის შესწავლილი.

სამართლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი არჩევნების ჩატარების მიზნით 2012 წლის 14 ივლისს სახელისუფლებო პარტია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოაქვეყნა მის მიერ შემუშავებული ოთხპუნქტიანი დეკლარაცია საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკურ პარტიათა ქცევის წესების შესახებ. საბოლოოდ, დეკლარაცია პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის ჩართვის შედეგად, მოიცავდა 5 ძირითად პუნქტს და 17 რეკომენდაციას. აღნიშნულ დეკლარაციას, მაშინდელი ძირთადი ოპოზიციური ძალა

კოალიცია „ქართული ოცნება“, აღიქვამდა ხელისუფლების პიარაქციად.

იგივე გამეორდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. 2016 წლის 20 ივნისს „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებმა პარლამენტის სხდომაზე წარადგინეს ვიქტორ დოლიძის მიერ შემუშავებული პარლამენტის განცხადების პროექტი „საარჩევნო პერიოდში ეთიკის წესების შესახებ“. მას მხარი არ დაუჭირა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დოკუმენტის ინიციატორი ადრე თავად იყო, როდესაც ხელისუფლებაში იმყოფებოდა.

2016 წლის 21 სექტემბერს მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ გამოაქვეყნა „მშვიდობის მემორანდუმი“, რომელსაც ძირითადმა ოპოზიციურმა ძალამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ფარატინა ქაღალდი უწოდა და არ შეუერთდა.

ზემოთჩამოთვლილ ინიციატივებს ნაკლებად შეიძლება ეწოდოს პარტიების პოლიტიკური ქცევის ეთიკური კოდექსი, რადგან ისინი ძირითადად გამსჭვალულია იდეით, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს საარჩევნო კამპანიებში, მაგრამ ეთიკური ქცევა პოლიტიკაში ამით არ შეიძლება ამოიწურებოდეს. ეთიკა, მიზნად ისახავს ზნეობრივი საქციელის პრაქტიკის ათვისებასა და სამოქალაქო საზოგადოებაში სამართლიანობის განმტკიცებას, რაც ამ ინიციატივებში პოლიტიკური პარტიების მიერ რეალურად არ არის გააზრებული.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; პარტიები; ეთიკური ქცევის კოდექსი; არჩევნები

შესავალი

დემოკრატია, რომელიც არსობრივად ხალხის ნების გამოხატვაა, ქმნის თავისუფალი აზრის არსებობისა და ღირებულებითმსოფლმხედველობრივი პლურალიზმის პირობას. იმისათვის, რომ დემოკრატია შინაარსისგან დაცლილ ნების გამოხატვად არ იქცეს, მას ლიბერალიზმი ავსებს შინაარსით. შემოაქვს უმაღლესი მიზანი, იმგვარი გარემოს ფორმირება, სადაც თითოეულ ადამიანს ექნება

თავისუფალი ნების გამოხატვის შესაძლებლობა, რაც პიროვნების წარმოჩენისა და მისი ღირსეული ადგილის დამკვიდრების საშუალებაა საზოგადოებაში. დემოკრატიის მდგრადი არსებობის პირობას კი იმგვარი სამართალი უზრუნველყოფს, რომელიც ამოდის რა სამართლიანობის კონცეფციიდან, საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებს აწესრიგებს და ერთიანობის განცდას ქმნის. შესაბამისად, ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების თვისებრივი მდგომარეობა პირდაპირპროპორციულია ამ საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური ეთიკის, რაც პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო, როგორც სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, ისწრაფვის შექმნას სამართლებრივი, ლიბერალურ-დემოკრატიული გარემო. ეს უკანასკნელი კი მიიღწევა თავისუფალი არჩევანითა და სამართლიანი სახელმწიფო პოლიტიკით. დღეს, როდესაც საზოგადოება პოლიტიკური პარტიების არჩევის მეშვეობით გამოხატავს ნებას პარტიების დეკლარირებული ღირებულებებით წარიმართოს სახელმწიფო პოლიტიკა, აუცილებელია, რომ პოლიტიკური პარტიები ამოდიოდნენ პოლიტიკური ეთიკის არსიდან, რაც გულისხმობს პოლიტიკურ პროცესში თითოეული ადამიანის ნების გააზრებას და თანამედროვე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ღირებულებითი პლურალიზმის უზრუნველყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია პოლიტიკური პროცესის შედეგად სამართლებრივი, დემოკრატიული გარემოს ფორმირება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ რეალობაში არ არსებობს სამეცნიერო კვლევები ზემოაღნიშნულ საკითხებზე. ამიტომ სტატიაში შევეხებით ეთიკის კოდექსის შემუშავების ევროპულ გამოცდილებას, რაც ევროპის საბჭოს მოწოდებით მიზანშეწონილია ხელისუფლების ყველა შტოსა და დონეზე.

საქართველოში პოლიტიკურმა ელიტამ ვერ უზრუნველყო საარჩევნო პროცესის მყარ სამართლებრივ ფარგლებში მოქცევა, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ დღემდე როგორც საზოგადოებრივ, ისე პოლიტიკურ დისკურსში სამართლიანი, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრობლემა დგას. აქედან გა-

მომდინარე, **კვლევის ჰიპოთეზა** ფორმულირდება შემდეგნაირად: პოლიტიკურ პარტიებს შორის მუდმივი ბრძოლაა მხოლოდ ხელისუფლების მოხელეთებისთვის და ეთიკის კოდექსის შემუშავების მცდელობა წარმოადგენს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილს, რაც სამართლიანობისა და ეთიკის ფარგლებიდან გადის, ხელს უშლის პოლიტიკური პროცესის შემოქმედებითი სტაბილურობის დამკვიდრებას.

წინასაარჩევნო ქცევის კოდექსის შემუშავების მცდელობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ

სამართლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი არჩევნების ჩატარების მიზნით 2012 წლის 14 ივლისს სახელისუფლებო პარტია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოაქვეყნა მის მიერ შემუშავებული ოთხპუნქტიანი დეკლარაცია საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკურ პარტიათა ქცევის წესების შესახებ, რომელიც მიმართული იყო პარტიების შეთანხმებაზე, უარი ეთქვათ საარჩევნო კამპანიის პროცესში ძალადობასა და სხვა პარტიის კამპანიისა და აქციებისთვის ხელის შეშლაზე, მათ შორის საკუთარი აქტივისტების მობილიზაციითა და პარალელური აქციების დაგეგმვით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს ამომრჩევლებთან შეხვედრისას არ უნდა დაეშვათ აგრესია, ძალადობისკენ მოწოდება და უმცირესობების თემებში სიძულვილის ენის გამოყენება. დეკლარაციის ხელმომწერ პოლიტიკურ სუბიექტებს, უარი უნდა ეთქვათ ამომრჩევლის მოსყიდვაზე, დაეცვათ ცსკო-ს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებათშორისი კომისიის რეკომენდაციები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის შესახებ და ეღიარებინათ ცესკოსა და სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული არჩევნების შედეგები. (http://www.24saati.ge/news/story/30415-tsinasaarchevno-qtsevis-tsesebi-politikuri-partiebistvis 16.07. 2012.)

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ პარტიებისთვის ხელმოსაწერად გამზადებულ დეკლარაციაზე არაერთგვაროვანი პოზიცია დააფიქსირეს პოლიტიკურმა პარტიებმა. დეკლარაციასთან მიერთების მზადყოფნა გამოთქვა რამდენიმე პოლიტიკურმა ორგანიზა-

ციამ, მათ შორის **„ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“, „ახალ-მა მემარჯვენეებმა“** და **„ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“.**

„ქრისტიან-დემოკრატიული“ პარტიის წევრის გიორგი ახვლე-დიანის მოსაზრებით, აღნიშნული დეკლარაცია ხელს შეუწყობდა ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული რესურსის უკიდეგანო გამოყენების ტრადიციის რღვევას. თუმცა, არ გამორიცხავდა პარ-ტიების ქცევის წესების დარღვევას უშუალოდ ხელისუფლების მხრიდან.

„ახალი მემარჯვენეების“ წევრის მამუკა კაციტაძის მოსაზრე-ბით, დეკლარაციის პირველი სამი პუნქტის დარღვევის რესურსი არ გააჩნდა მათ პარტიას. რაც შეეხებოდა მეოთხე პუნქტს არჩევნე-ბის შედეგების ლეგიტიმურად აღიარების შესახებ, მისი მოსაზრე-ბით 2012 წლის საარჩევნო გარემო გაუმჯობესებულია და სავსებით შესაძლებელი იყო სანდომიანი არჩევნების ჩატარება. აქვე დასძენ-და, რომ დეკლარაციასთან მიერთების მიღმა აუცილებელი იყო პო-ლიტიკური პარტიების ნება და მზადყოფნა დოკუმენტში არსებუ-ლი მოთხოვნების შესასრულებლად.

2012 წლის ძირითადი ოპოზიციური ძალა **„ქართული ოცნება“** სახელისუფლებო პარტიას ადანაშაულებდა პროცესის მითვისების მცდელობაში და აღნიშნავდა, რომ ეთიკური ქცევის წესების საკით-ხებზე მუშაობა არასამთავრობო სექტორში მანამდე იყო დაწყებუ-ლი. მიუხედავად იმისა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ თავად იდეას მიესალმა, მიიჩნევდა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არასამ-თავრობო ორგანიზაციებისა და პარტიების აქტიური ჩართულობით უნდა შეიქმნილიყო.

კოალიცია **„ქართული ოცნების“** ერთ-ერთმა ლიდერმა ზაქა-რია ქუცნაშვილმა **„ნაციონალური მოძრაობის“** გულწრფელობა ეთ-იკის კოდექსთან დაკავშირებით ეჭვქვეშ დააყენა და დეკლარაცია სახელისუფლებო პარტიის მხრიდან კარალეთის დანაშაულის[1] გა-დაფარვის მცდელობად გამოაცხადა. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი 4 პუნქტიანი დეკლარაციის ბოლო პუნქტი,

[1] 2012 წლის 11 ივლისს, სოფელ კარალეთში მოხდა ინციდენტი კოალიცია „ქართული ოცნების“ მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. სიტყვიერ შეურაწყოფას მოჰყვა ფიზიკური შეხლა-შემოხლა.

ზაქარია ქუცნაშვილის მოსაზრებით, მმართველი პარტიის თვითმიზანს, არჩევნების შედეგების უპირობო აღიარებას ემსახურებოდა და არა თავისუფალი, სამართლიანი, მშვიდობიანი არჩევნების ჩატარებას. აქვე დასძინა, რომ არჩევნების ლეგიტიმაციის წყარო არის ქართველი ხალხია და სწორედ მისი შესაფასებელი იყო ჩატარებული არჩევნების სამართლიანობა. (http://www.24saati.ge/news/story/30415-tsinasaarchevno-qtsevis-tsesebi-politikuri-partiebistvis 16.07. 2012.)

კოალიცია **„ქართულმა ოცნებამ“** მზადყოფნა გამოთქვა ეთან-ამშრომლა პარტიების ეთიკური ქცევის კოდექსის შემუშავების საკითხზე თუ აღნიშნული დოკუმენტი დაემყარებოდა ორმხრივ ვალდებულებებს და სამოქალაქო სექტორის მედიატორობით შემუშავდებოდა.

პარტია **„თავისუფალი საქართველოს“** ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე შალამბერიძე **„ნაციონალური მოძრაობის“** მიერ შეთავაზებულ დეკლარაციას პარტიების ეთიკური ქცევის შესახებ დასავლეთზე გათვლილ თვალთმაქცობად მიიჩნევდა, რომელიც ქმნიდა პოლიტიკური პარტიებისთვის არჩევნებში თანაბარი პირობების არსებობის ილუზიას. მისი თქმით, 2011 წლის 29 დეკემბერს **„ნაციონალური მოძრაობის“** მიერ მიღებული კანონი **„პოლიტიკური პარტიების შესახებ“** იყო დისკრიმინაციული, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ფაქტობრივად დაფინანსების საშუალებას არ აძლევდა, რაც არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვის ტოლფასი იყო. შალამბერიძის მოსაზრებით, ამგვარი კანონის არსებობის და კარალეთის ინციდენტის გამოუძიებლობის ფონზე, აღნიშნული კოდექსი თვალებში ნაცრის შეყრა იყო. **„თავისუფალი საქართველო“** მხოლოდ მაშინ შეუერთდებოდა ეთიკის კოდექსზე მუშაობას თუ გაუქმდებოდა 2011 წლის 29 დეკემბერს **„ნაციონალური მოძრაობის“** მიერ მიღებული კანონი **„პოლიტიკური პარტიების შესახებ“** და კარალეთის ინციდენტის დამნაშავეები დაისჯებოდნენ. (http://www.amerikiskhma.com/a/georgia_geovernment_initiative/1442433.html 21.07.2012.)

დეკლარაციასთან მიერთებაზე უარი განაცხადა **„ლეიბორისტულმა პარტიამ“.** პარტიის მდივნის გიორგი გუგავას მოსაზრებით, ქვეყანაში, სადაც კანონი არ კანონობს და პოლიტიკურ პროცესში დემოკრატიული პრინციპები უგულვებელყოფილია, დეკლარაცია

ფარატინა ქაღალდია. (http://www.24saati.ge/news/story/30415-tsinasaarchevno-qtsevis-tsesebi-politikuri-partiebistvis 16.07. 2012).

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივას, გარდა ზემოთჩამოთვლილი პოლიტიკური პარტიებისა, უარყოფდნენ ასევე: **„დემოკრატიული მოძრაობა“, „ქართული დასი“, „მწვანეთა პარტია“.**

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ქცევის ეთიკური წესების ოთხპუნქტიანი დეკლარაციის გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ, 16 ივლისს არასამთავრობო ორგანიზაცია **„ეს შენ გეხებას“** წარმომადგენლებმა მმართველი პარტიის შეთავაზებულ პრინციპებს არასაკმარისი უწოდეს პროცესის რეალურად გაჯანსაღებისთვის და გამოთქვეს მოსაზრება სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მონაწილეობით ქცევის წესების შეთანხმების აუცილებლობაზე. მათ წარმოადგინეს საკუთარი 17-პუნქტიანი ინიციატივა და პარტიებს დიალოგის გზით შეთანხმებისკენ მოუწოდეს. **„ეს შენ გეხებას“** წარმომადგენლებმა გარკვეული მედიატორის როლიც იკისრეს აღნიშნულ პროცესში და 18 ივლისს ცალ-ცალკე საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს მმართველი პარტიისა და **„ქართული ოცნების“** წარმომადგენლებთან.

„ნაციონალური მოძრაობა“ დათანხმდა **„ეს შენ გეხებას“** მიერ შემუშავებული ღირებულებები მეხუთე პუნქტად დამატებოდა მათ მიერ წარმოდგენილ ოთხპუნქტიან დეკლარაციას. არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციის საფუძველზე მოხდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მომზადებული დეკლარაციის კორექტირება და საბოლოოდ, დეკლარაცია შედგებოდა 5 ძირითადი პუნქტისა და არასამთავრობოთა 17 რეკომენდაციისგან. 19 ივლისის ბრიფინგზე პარლამენტის თავჯდომარემ დავით ბაქრაძემ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს ხელი მოეწერათ დეკლარაციაზე, რაც ხელს შეუწყობდა დემოკრატიული, არაძალადობრივი, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. (http://esshengexeba.ge/?menuid=8&lang=1&id=869 19.07.12.)

კოალიცია **„ქართული ოცნება“** ნაციონალური მოძრაობის მიერ ინიცირებულ დეკლარაციას ორდღიან პიარაქციას უწოდებდა და მზადყოფნას გამოთქვამდა მიეღო „ეს შენ გეხებას“ მიერ შემუშა-

ვებული ქცევის ეთიკური წესები და არა ნაციონალური მოძრაობის მიერ მომზადებული დეკლარაცია. გარდა ამისა, კოალიცია „ქართული ოცნება“ ითხოვდა „ეს შენ გეხებას“ მიერ 16 ივლისს შემოთავაზებულ ქცევის წესებში რამდენიმე პუნქტის ჩამატებას, მათ შორის უნდა ყოფილიყო „არჩევნების შედეგების თაობაზე ყველა სადაო საკითხის მხოლოდ მშვიდობიანი და კონსტიტუციური გზებით გადაწყვეტა“. საბოლოო შეთანხმების მიღწევის მიზნით, „ეს შენ გეხება“ შეეცადა ორივე მხარის ინტერესი აესახა პარტიათა ქცევის ეთიკურ კოდექსში. ტექსტი, რომელიც 18 პუნქტიანი გახდა, ბოლო აბზაცში ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: „საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ვაღიარებთ ზემოთჩამოთვლილი პირობებით ჩატარებული, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით შეჯამებული და სანდო რეპუტაციის მქონე სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული არჩევნების შედეგებს“.

დეკლარაციის ბოლო პუნქტის ამგვარი ფორმულირება „ნაციონალური მოძრაობამ“ სადავოდე მიიჩნია. ჩიორა თაქათაქიშვილის მოსაზრებით, კოალიცია „ქართული ოცნება“ ქცევის წესებს ხშირად არღვევდა, მათ შორის სიძულვილის ენის გამოუყენებლობის კუთხით; შესაბამისად, დეკლარაციის ბოლო პუნქტი იძლეოდა შესაძლებლობას „ქართულ ოცნებას“ არ ეღიარებინა არჩევნების შედეგები. (http://www.civil.ge/geo/article.php?id=25836 18.09.12.)

წინასაარჩევნო ქცევის კოდექსის შემუშავების მცდელობა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ

2016 წლის 20 ივნისს **„თავისუფალმა დემოკრატებმა“** პარლამენტის სხდომაზე წარადგინეს ვიქტორ დოლიძის მიერ ევროპარლამენტარებთან კონსულტაციებით შემუშავებული „საარჩევნო პერიოდში ეთიკის წესების შესახებ“ პარლამენტის განცხადების პროექტი. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა წინასაარჩევნო გარემოს ორიენტირებას პროგრამებსა და პლატფორმებზე, პოლიტიკურ პარტიებს უარი უნდა ეთქვათ უკანონო ქმედებაზე, სიძულვილის ენაზე, პროვოკაციულ, ცილისმწამებლურ, ღირსების შემლახველ, ქსენოფობიურ, მუქარის ან ძალადობისკენ მოწოდებულ განცხადებებზე. პროექტის თანახმად, საქართველოს პარლამენტი აღიარებდა

ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების მიუღებლობას, საჯარო სამსახურების დეპოლიტიზირების მნიშვნელობას და ამასთანავე, მედია საშუალებებს მოუწოდებდა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპი აღესრულებინათ. განცხადებაში ხაზგასმული იყო სასამართლოს როლი საარჩევნო დავებთან დაკავშირებით.

პროექტის ავტორის ვიქტორ დოლიძის განცხადებით, პოლიტიკური პარტიების მხრიდან დაცული უნდა ყოფილიყო დადგენილი თამაშის წესები და ეთიკური სტანდარტები, დაპირისპირებაზე უარის თქმა, პარტიების ორიენტირება პლატფორმებსა და პროგრამებზე კი გაზრდიდა საკუთარი თავის და აქედან გამომდინარე, ამომრჩევლის პატივისცემას.“ (თ. პაატაშვილი).

„საარჩევნო პერიოდში ეთიკის წესების შესახებ“ დოკუმენტი არ იყო სამართლებრივად შეზღუდული, შესაბამისად, პროექტით განსაზღვრული ეთიკის ნორმების დარღვევაზე სანქციები არ ვრცელდებოდა. ვიქტორ დოლიძის მოსაზებით, მის მიერ შემუშავებული დოკუმენტი წარმოადგენდა მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკურ შეთანხმებას, რომელსაც ხელი მოეწერებოდა საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე და დახმარებას გაუწევდა „ქართულ ოცნებას“, რათა არ დამსგავსებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და პოლიტიკური პასუხისმგებლობა აეღო. პროექტის ავტორის მოსაზრებით, დოკუმენტის ხელმომწერი და შემდეგ დამრღვევი პოლიტიკური სუბიექტი მძიმე პოლიტიკურ შეფასებას მიიღებდა არამხოლოდ ქვეყნის შიგნით. (http://versia.ge/index.php/2013-07-31-11-22-32/item/3816)

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნული დოკუმენტი გააკრიტიკა და ამომრჩევლისთვის თვალებში ნაცრის შეყრა უწოდა. მისი მოსაზრებით, სანამ კორცხელის ინციდენტის[2] დამნაშავეები არ დაისჯებოდნენ ქცევის წესებზე საუბარი ზედმეტი იყო.

---

[2] 2016 წლის 22 მაისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კორცხელის საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მმართველი კოალიციის მხარდამჭერი ჯგუფი ფიზიკურად გაუსწორდა ოპოზიციური პარტიის-„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა გია ვოლსკიმ დადებითად შეაფასა დოკუმენტი. მისი მოსაზრებით, აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვანი იყო, რადგან პოლიტიკური საზოგადოების შეკრება, რაღაც წესებზე შეთანხმება იმის მანიშნებელია, რომ არსებობს ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენის მორალური განცდა და ამასთანავე ხელს შეუწყობდა ქვეყნის პოზიტიურად წარმოჩენას (თ. მანაგაძე).

2016 წლის 22 ივნისს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „საარჩევნო პერიოდში ეთიკის კოდექსი“ დაამტკიცეს. საკანონმდებლო ინიციატივას მხარი დაუჭირა 87-მა პარლამენტარმა. აღნიშნულ კოდექსს შეუერთდა ყველა საპარლამენტო პარტია, გარდა ერთისა. „რესპუბლიკური პარტია“, თავისუფალი დემოკრატები“ „კონსერვატორები“, ქართული ოცნება“ „მრეწველები“, „ეროვნული ფორუმი“ შეუერთდნენ საარჩევნო პერიოდში ეთიკის კოდექსს. „ნაციონალური მოძრაობა“ კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით ბოიკოტის რეჟიმში იყო და სხდომას არ ესწრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ღია იყო რამდენიმე დღის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც სახელისუფლებო პარტიას წარმოადგენდა, ანალოგიური დოკუმენტის ინიციატორი თავად იყო, უარი განაცხადა მიერთებოდა აღნიშნულ დოკუმენტს.

პროექტის ავტორის ვიქტორ დოლიძის განცხადებით, ქვეყანაში პირველად მოეწერა ხელი ასეთ მრავლისმომცველ პოლიტიკურ დოკუმენტს, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე ოპოზიციური ძალების მხრიდან. ვიქტორ დოლიძის მოსაზრებით, „ნაციონალური მოძრაობის“ უარი მიერთებოდა აღნიშნულ დოკუმენტს, ზიანს მოუტანდა თავად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. (http://versia.ge/index.php/2013-07-31-11-22-32/item/3816)

2016 წლის 21 სექტემბერს მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნებამ“ გამოაქვეყნა **მშვიდობის მემორანდუმი,** რომლის მთავარი მიზანი კონტრაქციების თავიდან აცილება იყო. მემორანდუმის მიხედვით, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები უნდა შეთანხმებულიყვნენ ხელი შეეწყოთ მშვიდი წინასაარჩევნო გარემოსათვის, ხელი არ შეეშალათ სხვა პოლიტიკური სუბიექტების-

თვის წინასაარჩევნოდ გამართული ღონისძიებების ჩატარებაში. აღნიშნული მემორანდუმი არ იყო იურიდიული ძალის მქონე და მას მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. გარდა ამისა, მემორანდუმში მოცემული იყო, რომ „წინამდებარე შეთანხმება ვრცელდება მთელ საარჩევნო პერიოდზე, არჩევნების საბოლოო შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე“.

„თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა მემორანდუმს არ შეუერთდება, ეს იქნება სიგნალი იმისათვის, რათა გავიგოთ ვინ რა მიზნებით მოქმედებს წინასაარჩევნო პროცესში“,-აღნიშნა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ.

მემორანდუმის საჭიროებაზე არაერთგვაროვანი პოზიცია დაფიქსირეს პარტიებმა. ძირითადი ოპოზიციური ძალის **„ნაციონალური მოძრაობის“** პარტიის წევრის გიგი წერეთლის მოსაზრებით, ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული ნაბიჯი პიარზე, განსაკუთრებით, საერთაშორისო თანამეგობრობაზე იყო გათვლილი, ემსახურებოდა იმის წარმოჩენას, თითქოს მხოლოდ ხელისუფლებას სურდა მშვიდობა და დანარჩენ პარტიებს კი დესტაბილიზაცია. „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი წევრის თინათინ ბოკუჩავას მოსაზრებით, მშვიდობის მემორანდუმი ფარატინა ქაღალდი იყო, რომელიც ემსახურებოდა იმ ძალადობრივი გარემოს შეფუთვას, რასაც თავად ხელისუფლება ქმნიდა.

„პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ მაჟორიტარობის კანდიდატი მამუკა კაციტაძე აღნიშნულ მემორანდუმს ხრიკად მიიჩნევდა და ურჩევდა ხელისუფლებას თავისივე მემორანდუმი კეთილსინდისიერად შეესრულებინა, რადგანაც სწორედ მმართველი ძალა ფლობდა დანარჩენ პარტიებზე ზეწოლის მექანიზმებს. ამავე კოალიციის წევრი იაგო ხვიჩია, გამოეხმაურა რა „მშვიდობის მემორანდუმს”, აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო გარემოს მშვიდობიანად ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ხელისუფლებას და ვერანაირი მემორანდუმი ამ პასუხისმგებლობას სხვა პარტიებს ვერ გადაუნაწილებდა.

„თავისუფალმა დემოკრატებმა“ თანხმობა განაცხადეს ხელი მოეწერათ მშვიდობის მემორანდუმზე, თუმცა პარტიის ლიდერის

ირაკლი ალასანიას თქმით, „მშვიდობის მემორანდუმი“, რომელსაც არ გააჩნდა იურიდიული ძალა სუსტი დოკუმენტი იყო.

მემორანდუმზე ხელმოსაწერად მზადყოფნა გამოთქვეს „რეს-პუბლიკურმა პარტიამ“, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „თავისუფალი დემოკრატები“. მემორანდუმზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადეს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ლეიბორისტულმა პარტიამ“, „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ეროვნულმა ფორუმმა“ (ე. ქევანიშილი).

პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების მცდელობის ანალიზი (2012-2016 წლებში)

მიუხედავად წინასაარჩევნოდ ქცევის ეთიკური წესების შემუშავების არაერთი მცდელობისა ჩანს, რომ ყველას მიერ აღიარებული სასურველი სამართლებრივი და დემოკრატიული არჩევნები დღემდე ვერ შედგა. კორცხელის, კარალეთის და სხვა მრავალი ინციდენტი ამის მკაფიო მაგალითია. პოლიტიკური პარტიები ცდილობენ ამომრჩევლის მოსყიდვას, ხშირად მიმართავენ ძალადობრივ მეთოდებს, რითიც რეალურად უგულვებელყოფენ არა მხოლოდ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის ღირებულებების და პლურალიზმის მნიშვნელობას, როგორც სახელმწიფოს განვითარებისთვის აუცილებელ პირობას, არამედ უპირველეს ყოვლისა, უგულვებელყოფენ ამა თუ იმ პარტიის უკან მდგარი საზოგადოების ნაწილის ნებას. შესაბამისად, როდესაც საარჩევნო პროცესში უგულვებელყოფილია ამომრჩევლის ნება და პოლიტიკური პარტიები ვერ გრძნობენ ანგარიშვალდებულებას პირველ რიგში საზოგადოების, როგორც ლეგიტიმაციის წყაროს წინაშე, შეუძლებელია ვისაუბროთ სამართლიან გარემოზე და შეუძლებელია პარტიები განვიხილოთ, როგორც „ადამიანთა ერთობა შექმნილი საერთო კეთილდღეობის მიღწევაზე მიმართული რაიმე პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად“.

ზემოთჩამოთვლილ ინიციატივებს ნაკლებად შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური ქცევის ეთიკა, რადგან ისინი ძირითადად გამსჭვალულია იდეით, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი არ შეუშ-

ალონ ერთმანეთს საარჩევნო კამპანიებში. არ ჩანს ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. ეთიკა, მიზნად ისახავს ზნეობრივი საქციელის პრაქტიკის ათვისებასა და სამოქალაქო საზოგადოებაში სამართლიანობის განმტკიცებას, რაც პოლიტიკური პარტიების მიერ რეალურად არ არის გააზრებული ამ ინიციატივებში.

პარტიების ეთიკური ქცევის წესების შემუშავების შესახებ საკითხის დაყენება, ტრადიციულად ხდება საარჩევნო თარიღის გამოცხადების შემდგომ და სრულდება არჩევნების დამთავრებისთანავე, რაც ქმნის მომავალ საარჩევნო პერიოდამდე ეთიკურ ვაკუუმს და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამგვარი მიდგომა წარმოადგენს უზნეობის დამკვიდრების მცდელობას. აქვე უნდა აღინიშნოს ის პრინციპული შეცდომა, რაც უკავშირდება საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო პროცესის დროში გაგებას. როდესაც საარჩევნო გარემოდ მიჩნეულია პერიოდი არჩევნების თარიღის გამოცხადებიდან მისი ჩატარების დღემდე და ამ დროს ხდება პოლიტიკური ეთიკის საკითხების წამოწევა, შეუძლებელია გაჯანსაღდეს ვითარება, რადგან საარჩევნო გარემო მოიცავს პერიოდს არჩევნების ჩატარებიდან მომავალ არჩევნებამდე, ხოლო საარჩევნო პროცესი დროის იმ მონაკვეთს შეესაბამება, რომელიც მიმდინარეობს არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების ჩატარების დღემდე. ამიტომ აუცილებელია, შიდა პოლიტიკურ პროცესში ქცევის ეთიკური წესების შემუშავება არამხოლოდ წინასაარჩევნოდ, არამედ მთლიანად პოლიტიკური ცხოვრებისათვის, რათა რეალურად მოხდეს პოლიტიკური კულტურის ამაღლება მყარ ეთიკურ-სამართლებრივ საფუძვლებზე.

შესაბამისად, სწორედ დროის ამ შუალედში უნდა მკვიდრდებოდეს ქცევის ეთიკური და ზნეობრივი ნორმები, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური კულტურის ამაღლებას და საარჩევნო პროცესის ჯანსაღ ბაზაზე განვითარებას.

დასკვნა

სახელმწიფოს, რომელსაც სურს ააშენოს დასავლური ტიპის საზოგადოება, უნდა გაიაზროს თუ რა სამართლებრივ ბაზას ემყარება ევროპული ღირებულებები. ევროპაში, სადაც მაღალი პო-

ლიტიკური კულტურაა, ქცევის ეთიკური კოდექსის არსებობა რეკომენდირებულია ხელისუფლების ყველა დონეზე. ჯერ კიდევ 1999 წელს კონგრესის მიერ იქნა მიღებული ევროპული ქცევის კოდექსი ადგილობრივ და რეგიონულ არჩეულ წარმომადგენელთა პოლიტიკური კეთილსინდისიერებისათვის, რომლის მიზანი იყო ეთიკური პრინციპების განსაზღვრა ევროპის მასშტაბით. **კონგრესი მოუწოდებდა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებსა და ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა ეროვნულ ასოციაციებს, კოდექსით დადგენილი სტანდარტები და პრინციპები ეროვნულ საკანონმდებლო ნორმებსა და სხვა შესაბამის ეთიკურ კოდექსებში გადაეტანათ.**

თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს რამოდენიმე მუხლი ეთიკური კოდექსიდან:

- კანდიდატებმა არ უნდა მიმართონ ნებისმიერ საშუალებას ხმების მოსაპოვებლად, მათ შორის ამომრჩევლისთვის დაპირებების მიცემით.
- არჩეულმა წარმომადგენლებმა აიღონ ვალდებულება შეასრულონ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები პირნათლად, გამჭვირვალედ და სრული პასუხისმგებლობის გაცნობიერებით საკუთარი გადაწყვეტილების გამო.
- საჯარო მოხელე ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე თავისი მუშაობის ნებისმიერ ასპექტთან დაკავშირებით. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან მთელი მოსახლეობის წინაშე, მათ შორის იმ ამომრჩევლის წინაშე, ვისაც მათთვის ხმა არ მიუცია.

საქართველოში დღემდე არ შემუშავებულა შესაბამისი სტანდარტის ეთიკური კოდექსი, როგორც პარტიების, ისე პარლამენტართა ქცევის წესების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, პარლამენტის ღია და გამჭვირვალე მმართველობის საპარლამენტო საბჭოს ფარგლებში 2016 წელს მომზადებული საქართველოს პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსის პროექტი, რომლის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ახლად არჩეულ პარლამენტს ევალება, ძნელად თუ შეუწყობს ხელს პარლამენტსა და საზოგადოებას შორის ანგარიშვალდებულების გაზრდას და, დიდი ალბათობით, 2004 წელს

მიღებული საპარლამენტო ეთიკის კოდექსის ბედს გაიზიარებს, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული კოდექსი საპარლამენტო პარტიის წევრებს შორის ქცევის წესების დარეგულირებას ემსახურება და არა ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე საკუთარი „ფუნქცია-მოვალეობების სრული პასუხისმგებლობის გაცნობიერებით საკუთარი გადაწყვეტილებების გამო“.

პოლიტიკური პარტიების სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი აზროვნება პირველ რიგში საარჩევნო პროცესისადმი დამოკიდებულებაში ვლინდება. პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ გააზრებული თავიანთი როლი განსხვავებული აზროვნების ადამიანების თანაარსებობის კულტურის დამკვიდრების საქმეში, რაც ქმნის სამართლებრივ და სახელმწიფოებრივ მიდგომებს. აუცილებელია, ქცევის ეთიკური წესების შემუშავება არამხოლოდ წინასაარჩევნოდ, არამედ მთლიანად პოლიტიკური ცხოვრებისათვის, რათა რეალურად მოხდეს პოლიტიკური კულტურის ამაღლება და პოლიტიკური თანაცხოვრების დამკვიდრება მყარ სამართლებრივ-ეთიკურ საფუძვლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია პოლიტიკური პროცესის შედეგად სამართლებრივი, დემოკრატიული გარემოს დადგომა და მივიღებთ იგივე წრებრუნვას, რაც დავინახეთ 2012-2016 წლის საარჩევნო პროცესში და რომლის საბოლოო მიზანი სხვა არაფერია თუ არა ხელისუფლების მოხელთება.

იმისათვის, რომ სამართალმა საზოგადოებაში სამართლიანობის დამკვიდრებას შეუწყოს ხელი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი და სავალდებულოა ეთიკური კოდექსის არსებობა არამხოლოდ წინასაარჩევნოდ, არამედ არასაარჩევნო პერიოდშიც, ხელისუფლების ყველა შტოსა და დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

„პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსი“. 2012წ.

„საარჩევნო პერიოდში ეთიკის წესების შესახებ“ 2016 წ.

„მშვიდობის მემორნდუმი“ 2016 წ.

„ევროპული ქცევის კოდექსი ადგილობრივი და არჩეული წარმომადგენლების პოლიტიკური კეთილსინდისიერებისთვის“ 1999წ. ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური ხელმძღვანელობის კონგრესი

„წინასაარჩევნო ქცევის წესები პოლიტიკური პარტიებისთვის“. http://www.24saati.ge/news/story/30415-tsinasaarchevno-qtsevis-tsesebi-politikuri-partiebistvis 16.07. 2012.

„პოლიტიკოსთა ქცევის წესები“ - http://www.amerikiskhma.com/a/georgia_geovernment_initiative/1442433.html 21.07.2012.

„დავით ბაქრაძე კამპანია „ეს შენ გეხებას“ მიერ შეთავაზებულ წინადადებას დათანხმდა“ - http://esshengexeba.ge/?menuid=8&lang=1&id=869 19.07.12.

„ნაციონალური მოძრაობის პოზიცია საარჩევნო ქცევის წესებზე შეთანხმების მოწოდებაზე“. http://www.civil.ge/geo/article.php?id=25836 18.09.12.

ე. ქევანიშილი. „ოცნების“ „მშვიდობის მემორანდუმი“ - წინასაარჩევნო კონტრაქციების თავიდან ასაცილებლად. http://www.radiotavisupleba.ge/a/mshvdiobis-memorandumi-winassaarchevnod/28004438.html 21.09.16.

თ. პაატაშვილი. „ვიქტორ დოლიძე: მნიშვნელოვანია არჩევნები წარიმართოს დემოკრტიულად და არა ცემა-ტყეპით“ http://www.ipress.ge/new/35867-viqtor-dolidze-mnishvnelovania-archevnebi-tsarimartos-demokratiulad-da-ara-cematyepit 20.06.16.

„მმართველი ძალა და ოპოზიცია წინასაარჩევნო ეთიკის წესებზე შეთანხმდნენ“. http://versia.ge/index.php/2013-07-31-11-22-32/item/3816

თ. მანაგაძე. „წინასაარჩევნო თამაშის წესებზე „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, ყველა საპარლამენტო პარტია თანხმდება. http://for.ge/view.php?for_id=45347&cat=2 21.06.16.

Natia Zedginidze

Georgia: The attempt of lay down the party behavior ethical code in pre-election period (2012 and 2016 years)

Abstract

We have got a problem of fair,free and democratic elections in Georgia today. The battle between political parties is a battle for gaining the authority what is out of ethic and fairness and all in all, humpers to stabilize the political process. It is important that politicians can't get used to this situation and it is happened regularly to lay down the "party behavior ethical code" from political parties in pre-election period.

The target of this article is to research the attempts of laying down the party behavior ethical code in Georgia 2012-2016 years. The method of research is content-analyze. The question which is discussed in this article hasn't been studied yet.

On 14 july in 2012 the governmental party ''National Movement" was published the declaration with its 4 stages about the rules of political party behavior during the election company in the reason of fair, free and peaceful elections.All in all, this declaration consisted 5 stages and 17 recommendations after including political parties and nongovernmental sector. This declaration was realized as a PR action of government by the main opposition coalition ''Georgian dream".

The same happened before the parlament elections in 2016. On 20 june in 2016, the presenters of ''Free Democrates" were presented the project '' about ethical rules in election period" by Viktor Dolidze at the parlament session. This project wasn't approved by ''National Movement". Admittedly, this party was an initiator of the similar document several years ago when it was the government party.

On 21 September, in 2016, the leading party ''Georgian dream-Democratic Georgia'' was published " Peace Memorandum". This

document was called just a blank paper by the main opposition party which is "National movement" and didn't join them.

Above-mentioned initiatives can't be called the ethical code of political party behavior, because it is an idea of not hampering political parties to each other in election companies, but ethical behavior in politics shouldn't be run out of it. Ethic's aim is to study moral behavior practically and prove fairness in society what isn't realized from political parties in this initiatives.

Key words: Georgia, parties, ethical behavior code, elections.